წყალქვეშა ტურიზმი

დემეტრე მოდებაძე

ელ.ფოსტა: demetre.modebadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მას ძლიერი კავშირი გააჩნია კულტურულ და სოციალურ საქმიანობასთან. საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება, ძალზედ აქტუალური გარემოს მდგრადი განვითარება, თითოეული პირდაპირ კავშირში იმყოფება ამ მსოფლიოსა და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს დარგთან. ტურიზმის სფერო, რომელიც მომსახურების, ყიდვა-გაყიდვის სფეროს მოიცავს ორიენტირებულია იმ ადამიანებზე რომელთა სურვილები უმთავრესია. აქედან გამომდინარე ყოველივე ეს აძლევს ბიძგს სახელმწიფოს, რომელიც მიმართულია დარგის განვითარებაზე, ხელი შეუწყოს და განავითაროს ის მიმართულებები, რომლებიც აქტუალურია თუმცა აქტიურად გამოყენებადი კი არა. მსოფლიოს განვითარება ნებისმიერი მიმართულებით მიმდინარეობს, სიახლეები ინერგება თითქმის ყველა დარგში, დაწყებული კომპიუტერული ტექნოლოგიებიდან, დამთავრებული სამშენებლო ინდუსტრიით. მოთხოვნა რომელიც აქტუალური იყო ტურიზმის სფეროში გუშინ, შესაძლოა უინტერესო გახდეს დღეს. სწორედ ამიტომ ყველა მიმართულია სიახლეებისაკენ და იმისაკენ რომ ნებისმიერი კატეგორიის ტურისტების ჯგუფის სურვილი იქნას დაკმაყოფილებული და ტურისტული მენიუ იყოს გაცილებით მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი. აქედან გამომდინარე უნდა დაიწყოს ისეთი დარგების განვითარება რაც იქნება მოთხოვნადი, ამასთან ძალზედ თანამედროვე და მომავლის ტურისტულ არჩევანზე გათვლილი. ასეთი ტიპის არის წყალქვეშა ტურიზმი, რომლის განვითარების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანას გააჩნია და არაერთ დაინტერესებულ ექსტრემალს მოიზიდავს.